# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №8

(გამარტივებული შესყიდვა)

03 იანვარი 2011 წელი.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერი მხარეები, ერთის მხრივ სახელმწიფო **რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია (ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქ.რუსთავში) წარმოდგენილი სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის პირველი მოადგილის ზაქარია დარჩიაშვილის** (მისამართი ქ. რუსთავი კოსტავას გამზ. №20) სახით (შემდგომში "დამკვეთი/შემსყიდველი"), და მეორეს **მხრივ შ.პ.ს."ჯორჯიან მიკროსისტემს"-ს** ფინანსური დირექტორის **დავით ბოლქვაძის** (შემდგომში "შემსრულებელი/გამყიდველი") სახით ვმოქმედებთ რა ჩვენი უფლებამოსილებების ფარგლებში ვთანხმდებით შემდეგზე:

## I. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის სისტემა „კოდექსის" ინსტალაცია და მისი შემდგომი განახლება. (6 ვერსია).

## II. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების ფორმა

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერაუდო ღირებულებაა **960 (ცხრაას სამოცი)** ლარი. თვეში 80 ლარი(სააბონენტო)

2.2. ანგარიშსწორება ხორციელდება **უნაღდო** ანგარიშსწორების ფორმით.

2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, გადახდილ უნდა იქნას მომსახურებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

## III. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3.1 წინამდებარე ხელშეკრულება **ძალაშია 2011 წლის 03 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე.**

## IV. მიწოდების ვადები და ინსპექტირების პირობები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი (მომსახურება) დამკვეთისათვის მიწოდებული/(შესრულებული) უნდა იქნას 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

4.2 ხელშეკრეულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის შესყიდვების კოორდინატორი.

4.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს წერილობით და უთითებს დარღვევა/წუნის მიზეზს.

4.4 გამოვლენილი დარღვევის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

4.5 მიმწოდებელი ვალდებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $22^1$ –ე მუხლის თანახმად დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად, წარმოადგინოს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები

## V. მხარეთა უფლება მოვალეობები და პასუხისმგებლობა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ერთმანეთისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი და დროული შესრულება; თავის მხრივ, თვითოეული მხარე ვალდებულია დროულად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

5.2 ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთისათვის მიყენებული ზარალისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## VI. ფორს-მაჟორი

6.1 ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოების შედეგად.

6.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეთათვის ისეთ გადაულახავ და მათი ნებისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებსაც ატარებენ წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს.

## VII. გარდამავალი დებულებები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

7.2 მხარეთა შორის დავები გადაწყდება მოლაპარაკებების გზით, ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში კი სასამართლოს მეშვეობით.

## მხარეთა რეკვიზიტები

**შემსყიდველი**
ქ.რუსთავი, კოსტავას №20
მის: ტელ: (824) 194277
ს.კ. 216336329
საბანკო რეკვიზიტები
საქართველოს სახელმწიფო
ხაზინა.

*სახელმწიფო*
*რწმუნებულის-გუბერნატორის*
*პირველი მოადგილე*

/ზ.დარნიაშვილი/

**მიმწოდებელი**
ს.ს "ჯორჯიან მიკროსისტემს"
მის.ქ.თბილისი დ.უზნაძის№2,ბინა4
საიდენ. კოდი 202268517
მომსახურე ბანკი:
პროკრედიტ ბანკი-ცენტრ. ფილიალი
კოდი 22101922
ა/ა №360 201 012 900 209
ტელ:899 54 98 57

შ.პ.ს."ჯორჯიან მიკროსისტემს"-ის

ფინ. დირექტორი

/დავით ბოლქვაძე/